შვედეთი
Sverige

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

აგვისტო 2024

სურსათის მაღალი ფასები საქართველოში – უცვლელი პრობლემა

ავტორები:

სალომე გელაშვილი
ელენე სეთურიძე
თათია ხიდაშელი
გიორგი შავრეშიანი

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

შესავალი

ფასების ზრდა და მათი არასტაბილურობა გლობალური პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებით იმ იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს აზიანებს, სადაც დანახარჯები სურსათზე შედარებით მაღალია. როგორც წესი, ფასების ზრდის დინამიკასა და არასტაბილურობასთან დაკავშირებული პრობლემები სურსათის ფიზიკურ და ფინანსურ ხელმისაწვდომობას უკავშირდება.

გასულ წლები საქართველოში სურსათის ფასების ზრდა შეინიშნებოდა და ქვეყანაში სურსათის ფასების ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი დაფიქსირდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემების თანახმად, 2022 წლის მაისში წინა წელთან შედარებით საქართველოში სურსათის ფასები 22%-ით გაიზარდა, რის შემდეგაც ზრდა შენელდა და 2022 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 17.9% შეადგინა. მკვეთრი ზრდის შემდეგ, ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი 2023 წელს 3.9%-მდე შემცირდა, რაც საბაზო ეფექტის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზრდაა. ამჟამად, 2024 წლის მდგომარეობით (ივლისამდე),დეფლაციის 1%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. აღნიშნული რყევების მიუხედავად, ფასების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზოგიერთი კატეგორიის საკვები პროდუქტის ფასები კი ზრდას განაგრძობს.

სურსათის ფასების ინფლაციის მაღალი დონე განსაკუთრებით დამაზიანებელია ქართული ოჯახებისათვის, რადგან მათი ბიუჯეტის 40%-ზე მეტი სწორედ საკვებზე იხარჯება: სასურსათო პროდუქტების წილი საერთო სამომხმარებლო ხარჯებში 2019 წელს არსებული 43%-დან 2021 წელს 48.7%-მდე გაიზარდა, შემდეგ კი 2023 წელს იმავე მაჩვენებელს დაუბრუნდა (43%-ს) (საქსტატი, 2024). შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის მიერ საკვებზე და არაალკოჰოლურ სასმელებზე გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელი მთლიანი ხარჯების 14.8%-ს შეადგენდა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (8.3%) ისლანდიაში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი – რუმინეთში (24.8%) (ევროსტატი). შედეგად, საკვები პროდუქტების მაღალი ფასები საქართველოში მნიშვნელოვან ფინანსურ ზეწოლას ახდენს მოსახლეობაზე, განსაკუთრებით – დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებზე.

საკვებ პროდუქტებზე არსებული მაღალი ფასები დაბალშემოსავლიან ოჯახებს აიძულებს გააკეთონ არჩევანი პირველად საჭიროებებს შორის (საცხოვრებელი, ჯანდაცვა, განათლება და კვება). გარდა ამისა, საკვების ფასების ზრდასთან ერთად, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები შესაძლოა იძულებული გახდნენ გადაერთონ უფრო იაფი, ნაკლებად ჯანსაღი საკვების მოხმარებაზე, რაც ზრდის ჯანმრთელობის პრობლემების, ჭარბი წონისა და დიაბეტის განვითარების რისკს. სასურსათო უსაფრთხოების არარსებობას გრძელვადიანი უარყოფითი ზეგავლენა აქვს ბავშვების განვითარებაზე და სამომავლოდ შესაძლოა წარმოშვას შემდეგი პრობლემები: კოგნიტური და ქცევითი აშლილობა, დაბალი აკადემიური მოსწრება, დაავადებების მიმართ მოწყვლადობა და სხვ. (Gundersen & Ziliak, 2015). სურსათის ფასების ინფლაციასთან ბრძოლა, ასევე, გადამწყვეტია სიღარიბის შესამცირებლად და გაეროს მდგრადი განვითარების (SDG)[1] მიზანი 1-ის და მიზანი 2-ის მისაღწევად. სურსათის ფასების დასტაბილურება პირდაპირ ახდენს გავლენას ოჯახების უნარზე დააღწიონ თავი სიღარიბეს და უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით, მოწყვლად ჯგუფებს ყოველთვის ჰქონდეთ წვდომა ჯანსაღ საკვებზე.

სურსათის ფასების დინამიკა

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2019-2024 წლებში, საქართველოში სურსათის წლიური ფასების ინფლაცია -3.5%-დან 22.0%-მდე მერყეობდა. შესამჩნევი ზრდის ტენდენცია დაიწყო 2019 წლის მეორე ნახევარში და პიკს მიაღწია 2020 წელს, რაც მეტწილად COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა სურსათის მიწოდების ჯაჭვებში წარმოქმნილმა შეფერხებებმა განაპირობა. გარდა ამისა, სურსათის ფასებზე დამატებითი ზეწოლა წარმოშვა ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურებამ. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის მეორე ნახევარსა და 2021 წლის დასაწყისში ინფლაცია შენელდა, იგი კვლავ დადებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასები ზრდას განაგრძობს. 2021 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენციის გამო, რაც წარმოების შემცირებითა და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით იყო გამოწვეული. დამატებითი ზეწოლა

[1] იხ.: https://sdgs.un.org/goals

მოახდინა საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი პარტნიორების მიერ დაწესებულმა სავაჭრო შეზღუდვებმაც. სურსათის ფასები განაგრძობდა ზრდას და მაქსიმალურ ნიშნულს 2022 წელს მიაღწია. რეკორდული ზრდა განაპირობა შავი ზღვის რეგიონში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ, რასაც მოჰყვა რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში. ამ მოვლენებმა გაზარდა ზეწოლა სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე, რომლებიც უკვე იდგნენ ფასების ზრდის პრობლემის წინაშე. იმის გამო, რომ საქართველოსთვის უკრაინა და რუსეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან, აღნიშნული ტენდენციები მყისიერად აისახა ადგილობრივ ფასებზე. 2023 წელს დაფიქსირდა სურსათის ფასების ინფლაციის შემცირების ტენდენცია, რაც განპირობებული იყო საბაზო ეფექტით იყო განპირობებული. გარდა ამისა, დაფიქსირდა მცირედი დეფლაცია, რომელიც 2023 წელს დაიწყო და 2024 წელსაც გაგრძელდა.

გრაფიკი 1. სურსათის ფასების ინდექსი, 2019-2024 (%)

წყარო: საქსტატი

სურსათის ქვეკატეგორიების მიხედვით, საკვებ პროდუქტებს შორის ყველაზე მეტად მერყეობდა და გაიზარდა ბოსტნეულის ფასები, ინფლაციის მაჩვენებელმა 2022 წლის მაისში 51.1%-ს მიაღწია, ხოლო 2023 წლის აგვისტოში – 46.4%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წელს ინფლაციის წლიური მაჩვენებელი -4.5%-მდე დაეცა. ბოლო პერიოდში, ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა ხილისა და ყურძნის კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასებზე დაფიქსირდა, რომელთა წლიურმა ინფლაციამ 2024 წელს 27.9% შეადგინა.

ხილისა და ყურძნის კატეგორია – 2024 წლის გაზაფხულზე ხილისა და ყურძნის ქვეკატეგორიაში შემავალი სასურსათო პროდუქტების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზიც ადგილობრივი წარმოების დაბალი მაჩვენებელი იყო. 2023 წელს ადგილობრივი წარმოება 14.3%-ით შემცირდა (2022 წელს არსებული 568 ტონიდან 486.9 ტონამდე). კერძოდ, საშუალო წლიური ინფლაცია აჩვენებს, რომ გაიზარდა ატმის (48.2%), ვაშლისა (44.4%) და ქლიავის (41.1%) ფასები. ამავდროულად, ატმის ადგილობრივი წარმოება 6.7%-ით შემცირდა, ვაშლის – 34.3%-ით, ქლიავის – 23.2%-ით, რაც, მწარმოებლების აზრით არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით იყო გამოწვეული.

გრაფიკი 2. ხილისა და ყურძნის ფასების წლიური ინფლაცია (%)

წყარო: საქსტატი

ბოსტნეული – ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მერყეობდა და 2019-2023 წლებში საშუალოდ წლიურად 2%-ით შემცირდა. 2020 წელს ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოება 9%-ით გაიზარდა, რასაც მოჰყვა 15%-იანი (2021 წ.) და 13%-იანი (2022 წ.) კლება, 2023 წელს კი წარმოება 10%-ით გაიზარდა. 2019-2023 წლებში თვითკმარობის კოეფიციენტი 52%-დან 63%-მდე მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლებში მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა და საშუალოდ 62%-ს შეადგენდა, თუმცა 2022-2023 წლებში შემცირდა და 52%-მდე დაეცა. ბოლო წლების განმავლობაში

ადგილობრივი წარმოების შემცირების გამო, ბოსტნეულის იმპორტი 2022 წელს წლიურ ჭრილში 19%-ით გაიზარდა, ხოლო 2023 წელს – 10%-ით. ამასთანავე, ბოლო წლების განმავლობაში მერყეობდა ბოსტნეულის მოხმარების მაჩვენებელიც და მოხმარების წლიური ცვლილება საშუალოდ -7%-დან 12%-მდე მერყეობდა. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლების ამგვარმა რყევამ და იმპორტზე დამოკიდებულების ზრდამ გამოიწვია ბოსტნეულის ფასების ცვალებადობა.

გრაფიკი 3. ბოსტნეულის ფასების წლიური ინფლაცია (%)

წყარო: საქსტატი

ხორცი – ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხორცის ადგილობრივი წარმოების მაჩვენებელი იზრდებოდა საშუალო წლიური 3.2%-იანი ტემპით. ამასთანავე, 2019-2023 წლებში თვითკმარობის კოეფიციენტი 47%-დან 51%-მდე მერყეობდა. იმპორტის მოცულობა 2020 და 2021 წლებში შემცირდა, თუმცა, 2022 წელს წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 19.3%-ით გაიზარდა, 2023 წელს კი კიდევ 7.4%-ით. ხორცის ადგილობრივი წარმოების და იმპორტის ზრდა 2022 (6.1%) და 2023 (13.1%) წლებში გაზრდილი მოხმარებით იყო განპირობებული. აღნიშნული, სავარაუდოდ, დაკავშირებულია უკრაინიდან და რუსეთიდან გაზრდილ მიგრაციასთან. ვინაიდან ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნას, საჭირო გახდა იმპორტის გაზრდა. შესაბამისად, საერთაშორისო ფასები მეტად ახდენდა ზეგავლენას ადგილობრივ ფასებზე.

გრაფიკი 4. ხორცის ფასების წლიური ინფლაცია (%)

წყარო: საქსტატი

რძე, ყველი და კვერცხი – 2019-2024 წლებში საქართველოში რძის, ყველის და კვერცხის ფასები მნიშვნელოვან წლიურ ინფლაციას განიცდიდა. ფასების ზრდამ პიკს 2020 წელს მიაღწია და 25% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში ფასების მერყეობა მეტ-ნაკლებად მიჰყვებოდა სურსათის ფასების ინფლაციას. წლების განმავლობაში მიმდინარე ინფლაციის შემდეგ, 2023 წელს, ფასებმა შემცირება დაიწყო და მინიმალურ ნიშნულს 2024 წლის თებერვალში მიაღწია (-5%). საბაზო ეფექტის გარდა, შემცირება განპირობებული იყო საერთაშორისო ბაზრის სტაბილიზაციითა და გასული წლების შოკების ეფექტის ეტაპობრივი შემცირებითაც.

საქართველოში რძის პროდუქტების მაღალი თვითკმარობის კოეფიციენტის მიუხედავად (75-81%), ქვეყანაში რძის წლიური წარმოება მხოლოდ მცირედით, წლიურად, საშუალოდ, 1%-ით იზრდებოდა (2019-დან 2023 წლამდე წარმოება 4%-ით გაიზარდა). ამავდროულად, რძის პროდუქტების მოხმარება წლიურად, საშუალოდ, 2.8%-ით იზრდებოდა (მაჩვენებელი 2023 წელს 11.5%-ით გაიზარდა 2019 წელთან შედარებით), რამაც იმპორტის საშუალო წლიური მაჩვენებლის 8.5%-ით ზრდა გამოიწვია. შედეგად, რძის პროდუქტების თვითკმარობის კოეფიციენტი 2019 წელს არსებული 81%-დან 2023 წელს 75%-მდე შემცირდა, რაც 2014 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთანავე, საქართველოში რძის წარმოება სეზონური

ხასიათისაა და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მცირდება, რაც აღნიშნულ პერიოდში იმპორტზე დამოკიდებულებას ზრდის.

რაც შეეხება კვერცხს, მისი თვითკმარობის კოეფიციენტი კიდევ უფრო მაღალია და 93%-დან 98%-მდე მერყეობს. 2019-2023 წლებში ადგილობრივი წარმოება მცირედით შემცირდა (1.2%-ით), თუმცა 2023 წელს, 2019 წელთან შედარებით, იმპორტი 93.75 %-ით გაიზარდა (საშუალო წლიური 33.36%-იანი ზრდის ტემპით), რაც გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. შედეგად, კვერცხის თვითკმარობის კოეფიციენტი 2019 წელს არსებული 96%-დან 2023 წელს 93%-მდე შემცირდა. იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნა ადგილობრივ წარმოებაზე სწრაფად იზრდებოდა, საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულება გაიზარდა. ამგვარად, ადგილობრივი წარმოების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, სურსათის ფასებთან დაკავშირებულმა გლობალურმა შოკებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რძის, ყველისა და კვერცხის ფასებზე საქართველოში.

გრაფიკი 5. რძის, ყველისა და კვერცხის ფასების წლიური ინფლაცია (%)

წყარო: საქსტატი

პური და მარცვლეული – ამ კატეგორიაში შემავალი პროდუქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფქვილი და პურია. 2023 წელს ხორბლის თვითკმარობის კოეფიციენტმა 22% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა მეტწილად იმპორტზეა დამოკიდებული. სასურსათო ბალანსის ანალიზი

შემდეგ დინამიკაზე მიუთითებს: ხორბლის იმპორტის მნიშვნელოვან კლებასა (2023 წელს 2019 წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა) და 2021 წელს მოხმარების მაჩვენებლის შემცირების დაწყებასთან ერთად (2023 წელს 2019 წელთან შედარებით 11%-ით შემცირდა), 2023 წელს, 2019 წელთან შედარებით, ადგილობრივი წარმოება 46%-ით გაიზარდა. შედეგად, ხორბლის თვითკმარობის კოეფიციენტი 2019 წელს არსებული 15%-დან 22%-მდე გაიზარდა.

ეს ტენდენცია განსხვავდება სხვა კატეგორიებში დაფიქსირებული ტენდენციებისგან, რადგანაც ქვეყანაში გაზრდილი მიგრაციული შემოდინების მიუხედავად, ხორბლის მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ძირითადად 2021 წლის ივნისში რუსეთის მიერ ხორბალზე მცოცავი ბაჟის დაწესებით იყო გამოწვეული. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსულ იმპორტზე, ხორბალზე მცოცავი ბაჟის დაწესების შედეგად, ხორბლის ფქვილის იმპორტი უფრო ხელსაყრელი გახდა, ვიდრე თავად ხორბლის შემოტანა. ბაჟის დაწესებამდე საქართველო მინიმალური რაოდენობის ხორბლის ფქვილის იმპორტს ახორციელებდა. თუმცა ბაჟის დაწესების შემდეგ ხორბლის ფქვილის იმპორტი დაახლოებით 9-ჯერ გაიზარდა და 2021 წლის მაისში არსებული 1 651 ტონიდან 2023 წლის მაისში 15 086 ტონა შეადგინა. ხორბლის ფქვილის იმპორტის მაქსიმალური მაჩვენებელი 2022 წლის აგვისტოში დაფიქსირდა და 23 651 ტონა შეადგინა. ამავდროულად, ხორბლის იმპორტი თითქმის 54%-ით შემცირდა და 2021 წლის მაისში არსებული 26 212 ტონიდან 2023 წლის მაისში 12 133 ტონა შეადგინა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 2 743 ტონა, დაფიქსირდა 2022 წლის მაისში.

აღნიშნული ცვლილებების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ხორბლის ფქვილზე 2023 წლის ივნისში დროებითი იმპორტის გადასახადი დააწესა, რამაც არსებული ტენდენცია მცირედით შეცვალა. ხორბლის იმპორტი გაიზარდა, მაგრამ არ დაბრუნებია 2021 წლის მაჩვენებლებს. ამასთანავე, ხორბლის ფქვილის იმპორტი შემცირდა, მაგრამ ბაჟის დაწესებამდე არსებულ მაჩვენებლებზე მაღალი დარჩა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მანამდე ხორბლის იმპორტზე კონცენტრირებული ქართული ბაზარი ნელ-ნელა გადაერთო ერთდროულად ხორბლისა და ხორბლის ფქვილის იმპორტზე.

მცოცავი ბაჟის დაწესებამ გამოიწვია ხორბლის ფქვილსა და პურზე ფასების ზრდაც 2021-2022 წლებში. ხორბლის ფქვილის ფასმა პიკს 2022 წლის

სექტემბერში მიაღწია (წლიური 41%-იანი ზრდა). გარდა ამისა, პურის ფასი 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, 36%-ით გაიზარდა, რაც განპირობებული იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში ხორბლის რეკორდულად მაღალი ფასებით. თუმცა 2023 წლის მეორე ნახევარში ფასებმა კლება დაიწყო და ეს ტენდენცია 2024 წელსაც გაგრძელდა.

გრაფიკი 6. პურისა და ხორბლის ფასების წლიური ინფლაცია (%)



წყარო: საქსტატი

ზეთები და ცხიმები – 2021 წლის აპრილში მზესუმზირის ზეთის ფასმა 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. ფასების ზრდის ტენდენცია, რომელიც 2020 წლის სექტემბერში დაიწყო, განპირობებული იყო მზესუმზირის მწირი მოსავლით ყველაზე მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებში – რუსეთსა და უკრაინაში. 2021 წლის აპრილში საერთაშორისო ბაზრებზე 1 ტონა მზესუმზირის ზეთის ფასი 1 653 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 465 დოლარით (39%-ით) აღემატებოდა 2020 წლის სექტემბრის ფასს. გვალვის გამო უკრაინაში მზესუმზირის მოსავალი 2019 წელს არსებული 16.5 მილიონი ტონიდან 2020 წელს 12 მილიონ ტონამდე შემცირდა. რუსეთში კი, მოსავალი 2019 წელს არსებული 15.4 მილიონი ტონიდან 2020 წელს 13 მილიონ ტონამდე დაეცა.

2020-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა მცენარეული ზეთების ფასებიც. მაგ., წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, პალმის ზეთის ფასი 46%-ით გაიზარდა და ერთი ტონის ღირებულებამ 1 086 აშშ დოლარი

შეადგინა, ხოლო სოიოს ზეთის ფასი 41%-ით გაიზარდა და ერთი ტონის ღირებულებამ 1 136 აშშ დოლარი შეადგინა (FAO, 2021).

გრაფიკი 7. ზეთებისა და ცხიმების ფასების წლიური ინფლაცია (%)



წყარო: საქსტატი

რა იწვევს ფასების ზრდას?

შეზღუდული ადგილობრივი წარმოება – ადგილობრივ მიწოდების ჯაჭვებში შეზღუდვები, ადგილობრივ ბაზარზე სურსათისა და სასმელების დეფიციტის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც იწვევს ფასების ზრდას. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი საკმაოდ მოწყვლადია ამინდის მიმართ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მრავალი ტიპის სასურსათო პროდუქტზე, მათი ხარისხის გაუარესებით ან განადგურებით. ადგილობრივი წარმოების შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს იმპორტის ზრდაც, რაც, იმპორტის ხარჯების გათვალისწინებით, გამოიწვევს პროდუქციის ფასების ზრდას და საერთაშორისო ბაზარზე არსებული რყევების ადგილობრივ ბაზარზე გავრცელებას.

ტენდენციები საერთაშორისო ბაზრებზე – საქართველოს მცირე და იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკის გათვალისწინებით, ქვეყანა განსაკუთრებით მოწყვლადია საერთაშორისო ბაზარზე ფასების ცვლილების

მიმართ. გლობალურ ბაზარზე ფასების ცვლილება გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ვრცელდება ადგილობრივ ბაზრებზე, რაც ზეგავლენას ახდენს პროდუქციის ღირებულებაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი სხვადასხვა სექტორისთვის სხვადასხვაა. დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის აღების პირობებს ექსპორტიორ ქვეყნებშიც, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენს იმპორტირებული პროდუქციის ფინანსურ და ფიზიკურ ხელმისაწვდომობაზე. სიტუაციის გამწვავების მიზეზი შესაძლოა იყოს პოლიტიკური დაძაბულობა, ომი და მათი თანმდევი სავაჭრო შეზღუდვები, რამაც შეიძლება პირველადი საჭიროების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამოიწვიოს. გასულ წლებში მომხდარმა მოვლენებმა, კერძოდ, COVID-19-ის პანდემიამ და რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამ, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონია სურსათის ფასებზე. პროდუქტის საბოლოო ღირებულებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ტრანსპორტირების ხარჯებიც, რის გამოც ლოგისტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საბაზრო ფასების განსაზღვრისას.

გაზრდილი მოთხოვნა – კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდას ან აფერხებს კლებას, ბაზარზე არსებული დიდი მოთხოვნაა. საკვები პროდუქტების და სასმელების კატეგორიაში პროდუქტების უმეტესობა ხასიათდება არაელასტიკური მოთხოვნით, რადგან ისინი პირველადი საჭიროების პროდუქტებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, მიწოდების ჯაჭვებში შეფერხებების წარმოქმნასთან ერთად, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში მოთხოვნის ზრდაზეც. ამ კონფლიქტმა ხელი არამარტო წარმოებას და ექსპორტს შეუშალა, არამედ რუსეთიდან და უკრაინიდან მიგრანტების მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოდინებასაც შეუწყო ხელი. მიგრაციულმა ნაკადებმა გაზარდა ადგილობრივი მოთხოვნა სურსათსა და სასმელებზე, რამაც ფასების ზრდა გამოიწვია. შედეგად, მიწოდების ჯაჭვებში არსებული შეფერხებების და გაზრდილი მოთხოვნის ერთობლივმა ეფექტმა კიდევ უფრო გაართულა სურსათის ფასების სტაბილიზაცია ან შემცირება.

გაცვლითი კურსის დინამიკა – ადგილობრივი ფასების ზრდის კიდევ ერთი გამომწვევი ფაქტორი გაცვლითი კურსია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, ვალუტის კურსის რყევები პირდაპირ და ხშირად მყისიერ გავლენას ახდენს ადგილობრივ

ფასებზე. ქართული ლარის სხვა უცხოურ ვალუტებთან მიმართებით გაუფასურების შემდეგ, იმპორტირებული საქონლის ღირებულება იზრდება. გლობალურ ბაზარზე სურსათის ფასების დასტაბილურების მიუხედავად, ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ შესაძლოა მაინც გამოიწვიოს ფასების ზრდა, რაც საქართველოსთვის ართულებს საერთაშორისო ბაზარზე ფასების შემცირებით სრულად სარგებლობას.

გრაფიკი 8. ლარის/ევროს საშუალო თვიური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, ფასებზე სხვა დამატებითმა პირობებმაც შეიძლება იქონიოს გავლენა, მაგ., სექტორში არსებულმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ახალმა სამთავრობო რეგულაციებმა და სხვ. ეს ფაქტორები ერთად ქმნის კომპლექსურ გარემოს, სადაც როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი გამოწვევები მოქმედებენ საქართველოში სურსათისა და სასმელების ბაზრების სტაბილურობაზე. იმპორტზე დამოკიდებულება კი კიდევ უფრო აძლიერებს ადგილობრივ ფასებზე არსებულ წნეხს.

სამომავლო ნაბიჯები

იმპორტზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, მწირი ადგილობრივი წარმოების გამო, რომელიც სეზონურობით ხასიათდება, საქართველოში მაღალი ფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსება (2010 წელს არსებული 0.4%-დან (30,6 მლნ ლარი) 3.8%-მდე (750.4 მლნ ლარი) 2022 წელს), სოფლის მეურნეობის სექტორი კვლავ განიცდის მცირემასშტაბიანი, საოჯახო ფერმების სიმრავლეს, რაც იწვევს მცირე მოცულობის, სეზონურ ადგილობრივ წარმოებას და, შესაბამისად, მაღალ ფასებს სურსათზე (ISET Policy Institute, 2023).

ისეთი საჯარო პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც ეფექტიანად ეხმიანება სურსათის მაღალი ფასების საკითხს, მნიშვნელოვანია სურსათის ფასწარმოქმნისა და საერთაშორისო ბაზრებიდან ადგილობრივ ბაზრებზე ფასების გავრცელების სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, რეკომენდებულია სურსათის ფასებზე მოქმედი შემდეგი ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა:

1. **ფასის გადაცემა** – რამდენად აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქტის ფასების ცვლილება საცალო სასურსათო ბაზარზე, რისთვისაც საჭიროა ჩატარდეს ფასების ცვლილების სიჩქარისა და მასშტაბის ანალიზი მიწოდების ჯაჭვის შიგნით;
2. **ბაზარზე ინტეგრაცია** – ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებს შორის ინტეგრაციის ხარისხი. შეფასდეს, თუ რამდენად მოქმედებს და რა სიჩქარით აისახება საერთაშორისო ბაზარზე არსებული ფასების, გაცვლითი კურსისა და სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებები ადგილობრივ ფასებზე;
3. **გადაცემის არხები** – არხები, რომელთა მეშვეობითაც ფასების ცვლილება ვრცელდება მიწოდების ჯაჭვის შიგნით, რაც გულისხმობს ისეთი ფაქტორების ანალიზს, როგორიცაა ტრანსპორტირების ხარჯები, წარმოებისა და შეფუთვის ხარჯები, აგრეთვე, საბაზრო მარჟისა და საცალო მოვაჭრეების ქცევები;
4. **ბაზრის სტრუქტურა და კონკურენციის ხარისხი** – ბაზრის სტრუქტურისა და კონკურენციის ხარისხის როლის შესწავლა

ფასების წარმოქმნასა და გადაცემაში. საჭიროა შეფასდეს, რამდენად ახდენს გავლენას ბაზრის კონცენტრაცია, დომინანტური მოთამაშეების არსებობა და საცალო მოვაჭრეების ან საკვები პროდუქტების მწარმოებლების ქცევა ფასების გადაცემის ეფექტიანობასა და სიჩქარეზე;

5. **არსებული პოლიტიკის ზეგავლენა** – კვების ინდუსტრიასთან დაკავშირებული გადასახადები, სუბსიდიები და სავაჭრო შეზღუდვები. საჭიროა შეფასდეს, რამდენად აფერხებს არსებული პოლიტიკა მიწოდების ჯაჭვში საფასო სიგნალების გავრცელებას ან რა ზეგავლენა აქვს სხვადასხვა ინტერვენციას აღნიშნულ პროცესზე;
6. **ფასების არასტაბილურობა** – შესწავლა, თუ როგორ აისახება საქონლის ფასებთან დაკავშირებული რყევები და შოკები საცალო ვაჭრობის ფასებზე და რა გავლენა აქვს აღნიშნულ ცვლილებებს სურსათზე ხელმისაწვდომობასა და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე.

ჩამოთვლილი სფეროების სიღრმისეულმა ანალიზმა შესაძლოა წაახალისოს სათანადო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლიან ფასწარმოქმნას, ბაზრის სტაბილურობასა და მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა

Fitch Ratings. (2024). *Georgia - Rating Action Report*. Fitch Ratings. Retrieved from https://www.fitchratings.com/research/sovereigns/georgia-rating-action-report-06-12-2024

Hassan, T. A., Hollander, S., Lent, L. v., & Tahoun, A. (2019). *Firm-level political risk: Measurement and effects*. NBER. doi:10.3386/w24029

Hebous, S., Kher, P., & Tran, T. T. (2020). Regulatory Risk and FDI. In W. B. Group, *Global Investment Competitiveness Report 2019/2020* (pp. 128-168). Washington DC: World Bank Group. Retrieved from https://pubdocs.worldbank.org/en/433411591134538669/211536-Chapter-4.pdf

ISET Policy Institute. (2024). *Business Confidence Index*. Tbilisi: ISET Policy Institute. Retrieved from https://iset-pi.ge/storage/media/other/2024-11-06/1461b470-9c2d-11ef-91ab-d1c9175ae8e3.pdf

Kiptoo, J. (2024). *The influence of political stability on foreign direct investment (FDI)*. International Journal of Developing Country Studies. doi:https://doi.org/10.47941/ijdcs.2165

PMCG. (2024). *Employment Tracker Georgia*. PMCG. Retrieved from https://pmcg-i.com/research/employment-tracker-november-2024/

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტზე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის მიუკერძოებელი, სამეცნიერო, ეკონომიკური კვლევითი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში მაღალი ხარისხის, აკადემიურად დასაბუთებული კვლევების ჩატარებაზე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა ეფუძნება სამეცნიერო სტანდარტებსა და მეთოდებს.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტს ეკონომიკური ინდექსების და სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციების ფართო პორტფელი აქვს. იგი ახორციელებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სექტორულ ანალიზებს, ასევე აღწერით და შედარებით კვლევებს. ინსტიტუტი ქმნის და იყენებს მოწინავე ეკონომიკურ და რაოდენობრივ-ანალიტიკურ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

2011 წლიდან, დაარსების დღიდან, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სანდო ეკონომიკურ ანალიტიკურ ცენტრად, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური კეთილსინდისიერებით, მეთოდოლოგიური სიზუსტითა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევებით.

ინსტიტუტში მუშაობენ ეკონომისტები და მკვლევრები, რომელთა კვლევითი საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას. სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი ხორციელდება საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ISET

ISET POLICY INSTITUTE

www.iset-pi.ge
iset-pi@iset.ge
+995 322 507 177